დანართი 9

ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა

(ქვეპროგრამის კოდი - 06 02 12)

პროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

მუხლი 1. პროგრამის მიზანი:
1. ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალური მხარდაჭერა.

მუხლი 2. დაფინანსების წყარო:
პროგრამის დაფინანსება ხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა:
პროგრამა ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლეები:
პროგრამით მოსარგებლეები არიან ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესები.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგეებლეების დაფინანსება:
პროგრამა ითვალისწინებს ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალურ დახმარებას
ა) 1 ოქტომბერს - უხუცესთა საერთაშორისო დღის ღონისძიებასთან დაკავშირებით, უხუცესებს დახმარება მიეცემა 200 (ორასი) ლარის ოდენობით;

ბ) 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით დახმარება მიეცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები:
ა) განცხადება (მე-5 მუხლის ,,ბ“ პუნქტის შემთხვევაში);
ბ) წერილი შესაბამისი ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისაგან (მე-5 მუხლის ,,ა“ პუნქტის შემთხვევაში);
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ)იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილი მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში).
ე) საბანკო რეკვიზიტები;

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზება:

1. სოციალური დახმარების მისაღებად, ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს.

2. მუნიციპალიტეტში შემოსული დახმარების მთხოვნელთა განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში.

3. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ წერილის გადმოგზავნის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს ამ პროგრამის დასახელება და დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნას სრულყოფილად.

მუხლი 8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფლებამოსილება:

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, დოკუმენტაციასთან ერთად შემოსული განცხადებების შემოწმების და/ან ადგილზე გადამოწმების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია ამზადებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებებში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, განმცხადებელს მიმართავს ხარვეზის შესავსებად.

მუხლი 9. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება:

სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) თანხის გამოყოფის შესახებ.

მუხლი 10. დახმარების გაცემის წესი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (ბრძანების) მომზადებას წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში.
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გადაგზავნას ელექტრონული მოდულის მეშვეობით როგორც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურში, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში.
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ამ პროგრამის მე-9 მუხლის თანახმად გამოცემულ ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 11. პროგრამის შეფასების ინდიკატორი:

1. პროგრამაში ჩართული ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების რაოდენობა.

მუხლი 12. პროგრამის შედეგი:

1. ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალური დახმარება.